ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.01.2021
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/21

შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა კომისიამ ერთდროულად განიხილოს ერთი და იმავე საკითხზე ადვოკატის შეკითხვა და ამასთანავე, საჩივარი და მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციაც და შემდგომ გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე.

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: „ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს“.

იმ შემთხვევაში, თუ კომისიაში რეგისტრირებული შეკითხვა მიმდინარე დისციპლინური საქმის შინაარსის იდენტურია კომისია მოკლებულია შესაძლებლობა ერთდროულად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებზე, როგორც რეკომენდაციის გაცემის, ამასთანავე დისციპლინური საქმის ფარგლებში. აღნიშნული შეზღუდვა კომისიის მიერ თავისი საქმიანობის დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად განხორციელებას უზრუნველყოფს. კომისიის წევრი დისციპლინური საქმის განხილვისას თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრის ან შეხედულებისაგან.

შედეგად, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას წინასწარ, რეკომენდაციის გაცემის ფარგლებში უპასუხოს იმ ფაქტების საფუძველზე დასმულ შეკითხვებზე, რომელზეც დისციპლინური საქმის განხილვისას უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ.